



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

## გმელინი სამუელ გოტლიბ

გმელინი (Gmelin) სამუელ გოტლიბ [23. VII. 1745 (ან 23. VI. 1744), ტიუბინგენი, – 27. VII. 1774, დაღესტანი], გერმანელი მეცნიერი და მოგზაური.

1767 მიიწვიეს პეტერბურგში და იმავე წელს აირჩიეს პეტერბ. საიმპერატორო მეცნ. აკად. წევრად (აკადემიკოსად). 1768–74 აკადემიის დავალებით გ-მა ი. ა. გიულდენშტედტთან ერთად შეისწავლა ვოლგისა და დონის სათავეები, კავკასია (მ. შ. საქართველო), კასპის ზღვის ნაპირები. ტყვედ ჩავარდა დაღესტანში და ტყვეობაშივე გარდაიცვალა.

მის თხზულებაში „მოგზაურობა რუსეთში ბუნების სამი სამეფოს გამოკვლევისათვის“ (I–III, 4 წიგნად; 1771–85) მრავალი საინტერესო მონაცემია ბუნებაზე, აღწერილია ცხოველთა ახ. სახეობები, მ. შ. ამჟამად ამომწყდარი გარეული ცხენი ტარპანი (*Equus gmelini*).

**რ. ჟორდანი**

---